ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 79

ქ. ხობი

2 მაისი 2023 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022; საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი:BNLNGE22; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მერის დავით ბუკიას სახით

და მეორეს მხრივ ი/მ „ლუდმილა ხორავა" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი ქ. ხობი. ც. დადიანის ქ. N242; ტელეფონის ნომერი: 591713557; საიდენტიფიკაციო კოდი: 58001001449; ანგარიშის ნომერი:GE94LB0112153469401000; ბანკი: ს.ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი:LBRTGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ლუდმილა ხორავას სახით

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან დანართში მოცემული საქონლის შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი:39200000;

1.3 შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი კლასიფიკატორის კოდის, რაოდენობის, მახასიათებლების, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულებით მოცემულია დანართში,(ფასების ცხრილი) რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე) შეადგენს **4458.90** (ოთხიათას ოთხას ორმოცდათვრამეტი ლარი და 90 თეთრი)ლარს.

3. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განაზღვრულ ნორმებს და სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.2 მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 5 (ხუთი) დღეში.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

2. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, საგადასახადო დოკუმენტის (ელექტრონული ვერსია), ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და მოწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10(ათი)სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.4 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

7.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

7.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.7 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

7.8 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა,- ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
9.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
9.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს. იგი თავისი შეხედულებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2024 წლის 30 მარტის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

13. დავების გადაწყვეტის წესი

ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულების კონტროლი განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს:

1.შემსყიდველის მხრიდან -

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.
2. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.

2. მიმწოდებლის მხრიდან - ლუდმილა ხორავა

15. დასკვნითი დებულებანი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოს მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საფუძველი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ რ. ჩემიას მოხსენებითი ბარათი(N03-502303843 07.02.2023წ.)

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. მერის პირველი მოადგილე: რ. ზაქარაია
2. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ზ. ბუკია
3. მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
4. მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შონია
5. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ჯ. ბერაია

ხელისმოწერა და ბეჭედი

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

ლუდმილა ხორავა

Ludmila Khorava

Digitally signed by Ludmila Khorava
Date: 2023.05.02 17:50:02 +04'00'

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	შესყიდვის კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება	საქონლის მინიმალური მახასიათებლები
1	ელექტროჩაიდანი	39221000	ცალი	4	40	160	ელექტრო მადუღარა, მაღალი ხარისხის, ტევადობა არანაკლებ 2 ლ.
2	ცოცხი	39224100	ცალი	73	6.50	474.50	ნატურალური, სტანდარტული
3	იატაკის ჯაგრისი	39224300	ცალი	8	8	64	გრძელ სახელურიანი. განიერი.
4	ლამინატის საწმენდი ჯოხი	39224300	ცალი	4	16	64	გრძელსახელურიანი საწმენდი ჯოხი ლამინატის იატაკისთვის, ძირში ბრტყელი, ნაჭერგადაკრული საწმენდი ზედაპირით
5	მინის საწმენდი ჯოხი	39224300	ცალი	7	12	84	გრძელსახელურიანი საწმენდი ჯოხი ფანჯრის მინებისთვის, ორპირი საწმენდი ზედაპირით (რეზინის და ღრუბელოვანი მასალის)
6	ღრუბელი	39224320	ცალი	116	0.4	46.40	ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი
7	სათლი („ვედრო“)	39224330	ცალი	31	12	372	ლითონის, 10 ლიტრიანი მოცულობით
8	ნაგვის ყუთი	39224340	ცალი	36	13	468	საოფისე, ლითონის, ბადისებრი, ფერი შავი.
9	ნაგვის ყუთი (დიდი)	39224340	ცალი	4	50	200	ლითონის ფირფიტა; ცილინდრული ფორმის;გარე გამოყენების;ორგანყოფილებიანი: ძირითადი და ზედა სათავსით (სიგარეტების ნამწვისთვის)
10	მაკრატელი	39241200	ცალი	26	3	78	მაკრატელი კერამიკის, ან პლასტმასის სახელურით, სავარაუდო სიგრძე: 17-20 სმ. დამცავით.

11	დაფის საწმენდი „სეტი“	39292110	ცალი	2	3	6	მაგნიტური დაფის საწმენდი ჩვარი სათანადო სითხით
12	აქანდაზი	39224350	ცალი	36	4	144	გრძელ სახელურიანი
13	კედლის საათი	39254120	ცალი	15	20	300	ციფერბლატით
14	ერთჯერადი ჭიქა	39222120	ცალი	36800	0.02	736	მოცულობა: 180-200 მლ.; ფერი: თეთრი, ან გამჭირვალე (მოთხოვნის შესაბამისად); ნედლეული: საკვები პროდუქტებისთვის განკუთვნილი პოლიპროპილენი, თბოგამძლე - არ უნდა განიცდიდეს დეფორმაციას ცხელი სითხის გამოყენებისას. ჭიქები დამზადებული უნდა იყოს ქარხნული წესით, ქარხნულად შეფუთული პოლიეთილების პაკეტებში, არ უნდა იყოს დეფორმირებული
15	სათლის (იატაკის საწმენდი საწურით)	39224330	ცალი	3	55	165	იატაკის უნივერსალური საწმენდი ჯაგრისისთ და საწურით, ღერძის სიგრძე - 120 სმ; ჯაგრისის დიამეტრი - 35 სმ; 360 გრადუსით ბრუნვადი ჯაგრისი, წყლის ავზის მოცულობა 15 ლიტრი.
16	სურათის ჩარჩო A4	39298200	ცალი	10	8	80	შავი ან მუქი ყავისფერი, ვიზუალურად ლამაზი, კედელზე ჩამოსაკიდი სამაგრით
17	სურათის ჩარჩო A3	39298200	ცალი	10	12.5	125	შავი ან მუქი ყავისფერი, ვიზუალურად ლამაზი, კედელზე ჩამოსაკიდი სამაგრით
18	სურათის ჩარჩო A4	39298200	ცალი	20	10	200	მუქი ყავისფერი, ზომა: A4 21X30. მასალა: ხე, მინა
19	ჩაის სერვიზი	39221000	ცალი	2	100	200	მაღალი ხარისხის, კერამიკის, ვიზუალურად ლამაზი (სტუმრის მისაღებად გამოსაყენებელი)

20	ყავის სერვიზი	39221000	ცალი	2	65	130	მაღალი ხარისხის, კერამიკის, ვიზუალურად ლამაზი (სტუმრის მისაღებად გამოსაყენებელი)
21	გრაფინი ჭიქებით	39221250	ცალი	2	55	110	გამჭვირვალე მინის გრაფინი 6 ჭიქით, მაღალი ხარისხის
22	ქოლგის სათავსი	39230000	ცალი	3	84	252	მასალა: ერთგვაროვანი, ან შერეული (ხე, ალუმინი/უჟანგავი ფოლადი). ფორმა: ქოლგის ჩასაწყობი დანაყოფებით. ზომა: სიმაღლე 68 სმ-დან - 75 სმ-მდე; სიგანე 35 სმ-დან - 40 სმ-მდე. სათავსის ზედა ნაწილი უნდა შედგებოდეს ქოლგების განსათავსებელი არანაკლებ 9 განყოფილებისგან. ქვედა საყრდენი ნაწილი კი ჩარჩოსა და საწრეტისაგან, რომლის ამოღება (დასასუფთავებლად) შესაძლებელია.
	სულ ჯამი					4458.90	

ხელისმოწერა და ბეჭედი

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ბუკია

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე

ლუდმილა ხორავა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხობი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ საოფისე საქონლის შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან ი.მ „ლუდმილა ხორავა“-სთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერი: დ. ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში: ლ. ბუკია

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი: დ. ჭანტურია